ბრძანება:**ბ34.34213222**

თარიღი:**18/11/2021**

**„მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე“**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1.შეიქმნას „მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისია“ შემდეგი შემადგენლობით:

ა)**კომისიის თავმჯდომარე** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი, დიმიტრი ზურაბიშვილი;

ბ)**კომისიის თავმჯდომარის მოადგილე** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გივი გიუტაშვილი. კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გ)**კომისიის მდივანი** - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ცირა ფხოველიშვილი. კომისიის მდივანი ორგანიზებას უწევს სხდომის ჩატარებას და უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას, მდივანი არ სარგებლობს ხმის უფლებით და არ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დ)**კომისიის წევრები:**

დ.ა)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - **თამაზ ფოლოდაშვილი;**

დ.ბ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ნუგზარ ხუხუნაიშვილი;**

დ.გ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ზურაბ მარსაგიშვილი;**

დ.დ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- **რევაზ ელოშვილი;**

დ.ე)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **თეიმურაზ ჯერვალიძე;**

დ.ვ)მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- **მერაბ თუხარელი;**

დ.ზ)ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურე - **ობიექტზე მიმაგრებული პასუხისმგებელი პირი.**

2.კომისიის მუშაობაში, ხმის უფლებით, მონაწილეობას იღებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი იმ ადმინისტრაციული ერთეულიდან, სადაც ხორციელდება ობიექტის მიღება.

3.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის #ს-757 ბრძანება.

4.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი